სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

MES 4 23 0001601411

24/11/2023

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დასაფინანსებლად საუნივერსიტეტო საგრანტო კონკურსი ს გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N 122/ნ-ე ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2017 წლის 10 მარტს დამტკიცებული (ოქმიN3) „სამეცნიერო კვლევითი პროექტების დაფინანსების'' შესახებ დებულების მე-5 და მე-6 მუხლებისა და აკადემიური საბჭოს 2023 წლის 24 ნოემბრის N27 ოქმის N1 პირველი საოქმო დადგენილების საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო - კვლევითი პროექტების დაფინანსების მიზნით გამოცხადდეს კონკურსი განათლების მეცნიერებების და კავკასიის შემსწავლელი კვლევების მიმართულებებისათვის.
2. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვოს 2023 წლის 30 ნოემბრიდან 2023 წლის 11 დეკემბრის ჩათვლით;
3. საკონკურსო განაცხადის შემოტანისას კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ დოკუმენტაცია „სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსების შესახებ'' დებულების მე-6 მუხლის შესაბამისად;
4. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება განხორციელდეს უნივერსიტეტის კანცელარიაში, დალუქული კონვერტით (გარდა განცხადებისა), ყოველდღე, 10:00 საათიდან 17:00 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა;

5.სამეცნიერო კვლევითი პროექტების დაფინანსებისთვის გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეთა მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა განხორციელდეს 2023 წლის 12 დეკემბრიდან 2023 წლის 13 დეკემბრის ჩათვლით თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული „სამეცნიერო - კვლევითი პროექტების დაფინანსების შესახებ'' დებულების შესაბამისად;
6.აკადემიური საბჭოს მიერ დასაფინანსებელი სამეცნიერო - კვლევითი პროექტების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ, კერძოდ, 2023 წლის 14 -15 დეკემბერს, მოხდეს შერჩეული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ხელმძღვანელების პრეზენტაციების მოსმენა.
7.პრეზენტაციების მოსმენის შემდეგ შერჩეული და მოწონებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები გადაეცეთ რექტორის ბრძანებით მოწვეულ დარგობრივ ექსპერტებს შესაფასებლად 2023 წლის 18 დეკემბრიდან 22 დეკემბრის ჩათვლით;
8.სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსებისათვის უნივერსიტეტის საკუთარი სახსრებიდან გამოყოფილი ზღვრული თანხის ოდენობა თითოეული მიმართულებისათვის განისაზღვროს შემდეგნაირად:

- განათლების მეცნიერებები -20000 (ოცი ათასი) ლარი;
- კავკასიის შემსწავლელი კვლევები - 20000 (ოცი ათასი)ლარი.

9.დასაფინანსებლად წარდგენილი სამეცნიერო-კვლევითი პროექტები დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს არაუგვიანეს 2023 წლის 26 დეკემბრისა;
10.შერჩეულ სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ხელმძღვანელსა და უნივერსიტეტს შორის საგრანტო ხელშეკრულება გაფორმდეს 2023 წლის 27 დეკემბრიდან 2023 წლის 29 დეკემბრის ჩათვლით;
11.ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს უნივერსიტეტის რექტორის მოადგილეს სამეცნიერო დარგში, პროფესორ ნუნუ გელდიაშვილს;
12.დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს (ნ. კახაშვილი) ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
13.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
14.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: დ. აღმაშენებლისN41).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები
სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი
ჭკადუა შალვა